2-2536/19
19-02-2019

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრის ემზარ კვიციანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/160; 07.05.2018)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის 11 თებერვლის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ემზარ კვიციანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით შემოთავაზებულია აღნიშნული კანონის პირველი მუხლის ახალი რედაქცია, რის შედეგადაც დასახელებული ნორმიდან ამოღებულ იქნება სიტყვები „სექსუალური ორიენტაციის“ და „გენდერული იდენტობისა და გამოხატვის“.

განსახილველი საკანონმდებლო პაკეტის სხვა კანონპროექტები ითვალისწინებენ საკანონმდებლო აქტების შესაბამისობაში მოყვანას „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებულ ცვლილებასთან და შესაბამის ნორმებში მითითების ამოღებას „სექსუალური ორიენტაციის“ და „გენდერული იდენტობისა და გამოხატვის“ ნიშნებზე.

ამდენად, ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით აღარ იქნება უზრუნველყოფილი ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიუხედავად.

იმსჯელა რა წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე, კომიტეტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელება და საქართველოს კანონის პროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მის თანმდევი საქართველოს კანონების პროექტები ცნო მიუღებლად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე